სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N12 ხელშეკრულება

ბათუმი **2022 წელი**

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა“ პუნქტის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ***შპს აჭარის აქტივების მართვის კომპანიის (ს/ნ245399135)*** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმომადგენილი მისი დირექტორის ***ნათია პატარაიას*** სახით და მეორეს მხრივ, ***შპს კორვეტი (ს/ნ445454749)*** წარმოდგენილი დირექტორის ***ბადრი აბულაძის*** სახით (შემდგომში _ მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

A	CPV5030000	პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიოვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები
B	ხელშეკრულების მოქმედების ვადა	2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
C	ხელშეკრულების შესრულების ვადა	მოთხოვნიდან 05 (ხუთი) კალენდარული დღე
D	ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება	150 ლაარი
E	ერთი პერსონალური კომპიუტერის ან/და ლეპტოპის პროგრამებისა და მოწყობილობების დრაივერების ინსტალირება	30 ლარი
F	შესყიდვის საფუძველი	„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ს[1] ქვეპუნქტი
G	დაფინანსების წყარო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის საბიუჯეტო სახსრები
H	ნებართვის გაცემის თარიღი	05.05.2022
I	შავი სია	06.05.2022 წლის მდგომარეობით მიმწოდებელი შავ სიაში რეგისტრირებული არ არის

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ფორსმაჟორი“ - ,,მხარეები“ -სათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა“ და/ან ,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენით, რომელიც

შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს აჭარის აქტივების მართვის კომპანიის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების A პუნქტით და გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების D ქვეპუნქტით.

4. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) პასუხი აგოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობაზე.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია, რომ მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება დადასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.2 . მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდეგ.

6. . ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის ვადაში გადაიხადოს მხარის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება, რომელიც დადასტურებული იქნება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება ჩაბარების აქტით.

7. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დაღვევისათვის

7.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება, სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

7.2 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.3 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირგასამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0,2% ოდენობით. საქონლის მიწოდების ვადის 10-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.4 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

9. სხვა პირობები

9.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი"

შპს ,,აჭარის აქტივების მართვის კომპანია" (ს/ნ 245399135)

ის. ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. №46ა

ტელ: 574300353
558000722

„მიმწოდებელი"

შპს ,,კორვეტი" (ს/ნ 445454749)

მის. ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის გამზირი 63

ტელ: 597423113

სს ,,საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა № GE41BG0000000700449100

დირექტორი ნათია პატარაია

LLC Adjara Asset Management Company

Подписано цифровой подписью: LLC Adjara Asset Management Company
Дата: 2022.05.13 12:31:08 +04'00'

დირექტორი ბადრი აბულაძე

Badri Abuladze

Digitally signed by Badri Abuladze
Date: 2022.05.06 17:58:26 +04'00'